საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 15 მარტის №6 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი პროექტის – „ერთზე მეტი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე გამათბობლის საცდელი მაკეტის შექმნა“ (ხელმძღვანელი ა. გერასიმოვი) – 30 000 ლარის ოდენობით დაფინანსების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მეცნიერებისა და ბიზნესინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის №1 ოქმის თანახმად ზემოაღნიშნულ პროექტს შეეცვალოს სახელწოდება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მაქსიმალური მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე გამათბობლის საცდელი მაკეტის შექმნა“;
2. დაფინანსდეს ზემოაღნიშნული პროექტი 30 000 ლარის ოდენობით და პროექტის ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, ადმინისტრაციისა და ნაერთი ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ პუნქტიდან 27 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 3000 ლარი – სამეცნიერო ხარჯებში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**